გვანცა ჯგერენაია

16 წლის

სსიპ ქ. ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის N3 საჯარო სკოლა

XI კლასი

წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე.

ძვირფასო მეგობარო,

მე ვარ გვანცა, საქართველოს ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან - ფოთიდან. XI კლასის მოსწავლე. ამ წერილს გწერ არა როგორც მხოლოდ თანატოლს, არამედ როგორც თანამებრძოლ ახალგაზრდას, ვინც იზრდება, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, ილტვის და იბრძვის უკეთესი მომავლისთვის.

დამოუკიდებლობა საქართველოს ისტორიაში დიდი მონაპოვარია - საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა იბრძოდა საკუთარი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ გრძელი და რთული იყო. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა სხვადასხვა იმპერიის გავლენუს ქვეშ იმყოფებოდა - ჯერ სპარსეთის, შემდეგ ოსმალეთის, ბოლოს კი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის. მიუხედავად დამოუკიდებლობის მოპოვების უამრავი მცდელობისა, რეალური შესაძლებლობა ქვეყანას მხოლოდ 1991 წელს მიეცა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა.

1991 წლის 9 აპრილს, მას შემდეგ რაც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალადობრივი დარბევა მძიმე ტრაგედიით დასრულდა, საქართველოს მოსახლეობამ ერთსულოვნად გამოხატა დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი. ამას მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

თუმცა დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. 1990-იანი წლები დამღლელი და რთული პერიოდი იყო ქვეყნისთვის - ეკონომიკური კრიზისი, ომები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამოქალაქო დაპირისპირება და პოლიტიკური არასტაბილურობა. ამან მნიშვნელოვნად დააზიანა როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ისე საზოგადოებრივი მორალი და განვითარება.

დამოუკიდებლობამ, მიუხედავად გამოწვევებისა, საზოგადოებას საშუალება მისცა, რომ თავისუფლად გამოეხატა საკუთარი აზრი, დაეწყო დემოკრატიული ინსტიტუტების შენება და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოეყალიბებინა ეროვნული თვითშეგნება. ამავე დროს, ქართველ ხალხს შესაძლებლობა მიეცა, რომ აღედგინა საკუთარი კულტურა და ენა — ორი სვეტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად.

დღეს, საზოგადოება მნიშვნელოვნად შეიცვალა - ახალგაზრდები უფრო თავისუფლად აზროვნებენ. ისწრაფვიან ევროპული იდეალებისაკენ და უფრო

აქტიური სამოქალაქო პოზიცია უკავიათ. მედია უფრო მრავალფეროვანია. მოქალაქეებს აქვთ არჩევანის გაკეთების თავისუფლება. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს მწვავე პრობლემები თანამედროვე საზოგადოებაში - სიღარიბე, კორუფცია, პოლიტიკური პოლარიზაცია და სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებების შეზღუდული მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რაც შეეხება ,, ჭეშმარიტ" დამოუკიდებლობას. ვფიქრობ,ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური სტატუსი. ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა მოითხოვს არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, არამედ სულიერ და აზრობრივ თავისუფლებას, მართლმსაჯულებას, დაცულ ადამიანის უფლებებს, ტოლერანტურ საზოგადოებას და განათლებულ თაობას. ამ თვალსაზრისით თანამედროვე საქართველო არ არის სრულიად დამოუკიდებელი, მაგრამ დინამიკა პოზიტიური და იმედისმომცემია.

ევროპულ ღირებულებებს - როგორიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა და დემოკრატიული მმართველობა - საქართველო ბოლო წლებში განსაკუთრებით დაუახლოვდა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ვიზალიბერალიზაცია და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება იმის დასტურია, რომ ქვეყანა ამ ღირებულებებისკენ ისწრაფვის.

მინდა, რომ შენც გაგიზიარო ჩემი შეხედულება: თავისუფლება არ არის მხოლოდ სტატუსი - ეს არის ყოველდღიური ბრძოლა, განათლება, სოლიდარობა, ტოლერანტობა. შეიძლება ჩემს ქვეყანას უფრო მეტი გარჯა უწევს თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ვიდრე ეს ევროკავშირში ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ზუსტად იაზრებ იმ მოვალეობას, რომელიც მე და შენ, ჩვენს თანატოლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გვაკისრია არა მარტო ძველი, არამედ მომავალი თაობის წინაშე. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანატოლთა უმრავლესობა ამ საკითხს ძალიან სერიოზულად, კრიტიკულად და ამავდროულად პასუხისმგებლიანად უდგება.

პატივისცემით,

გვანცა ჯგერენაია.

19.05.2025

A Letter to a European Peer – From Independence to Freedom

Dear Friend,

My name is Gvantsa, and I'm a student in the 11th grade from a small town in Georgia – Poti. I'm writing this letter to you not only as a peer, but also as a fellow young person who is growing – both physically and spiritually – and who strives and fights for a better future.

Independence is a great achievement in Georgia's history – for centuries, the country fought to preserve its identity. The road to independence was long and difficult. Over the centuries, Georgia was under the influence of various empires – first Persia, then the Ottoman Empire, and finally Russia and the Soviet Union. Despite numerous attempts to gain independence, Georgia had a real opportunity only in 1991, when the Soviet Union collapsed.

On April 9, 1991 – following the tragic and violent dispersal of a peaceful demonstration in Tbilisi on April 9, 1989 – the people of Georgia unanimously expressed their will to restore independence. This was followed by the Act of Restoration of Independence of Georgia.

However, declaring independence was only the first step. The 1990s were a difficult and exhausting period for the country – economic crisis, wars in Abkhazia and South Ossetia, civil unrest, and political instability. These events severely damaged both state institutions and the public's morale and development.

Despite the challenges, independence allowed society to express itself freely, to begin building democratic institutions, and to gradually develop a sense of national consciousness. At the same time, the Georgian people were given the opportunity to restore their culture and language – the two pillars that have been essential for preserving national identity throughout the centuries.

Today, society has changed significantly – young people think more freely, they strive toward European ideals, and they take a more active civic stance. The media has become more diverse. Citizens have the freedom to make choices. Yet, there are still serious problems in our modern society – poverty, corruption, political polarization, and limited participation of various social groups in public life.

As for "true" independence – I believe it is not just a political status. True independence requires not only the protection of territorial integrity, but also spiritual and intellectual freedom, justice, the protection of human rights, a tolerant society, and an educated generation. In this sense, modern Georgia is not yet fully independent, but the progress is positive and promising.

In recent years, Georgia has drawn closer to European values – such as the rule of law, human rights protection, equality, and democratic governance. The Association Agreement with the European Union, visa liberalization, and the granting of EU candidate status confirm the country's aspiration toward these values.

I would like to share my view with you: freedom is not just a status – it is a daily struggle, education, solidarity, and tolerance. Maybe my country has to work harder to achieve full

freedom and independence compared to EU member states, but I'm sure you understand the responsibility that you and I, and our peers around the world, carry not only to past generations, but also to future ones. I hope that most of our peers take this responsibility very seriously, critically, and with great care.

With respect,

Gvantsa Jgerenaia

19.05.2025